

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	9
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	9
5. ძირითადი საშუალებები.....	13
6. არამატერიალური აქტივები.....	14
7. მარაგები	14
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	14
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	15
10. მიღებული სესხები.....	15
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
12. ამონაგები	16
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16
14. კომერციული ხარჯები	16
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....	17
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17
19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	18

შპს სუფთა წყალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	473,776	823,664
არამატერიალური აქტივები	6	75,073	71,867
		548,849	895,531
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	690,514	708,613
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	77,732	128,434
საგადასახადო აქტივი		21,401	7,992
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	19,787	12,944
		809,434	857,983
სულ აქტივები		1,358,283	1,753,514
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,043,955	1,048,735
დაგროვილი ზარალი		(387,428)	(172,426)
		656,527	876,309
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	461,639	577,500
		461,639	577,500
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	26,831	33,567
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	213,286	266,138
		240,117	299,705
სულ ვალდებულებები		701,756	877,205
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,358,283	1,753,514

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 25 ნოემბერს:

დირექტორი

ირაკლი კალმახელიძე

შპს სუფთა წყალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	473,776	823,664
არამატერიალური აქტივები	6	75,073	71,867
		<u>548,849</u>	<u>895,531</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	690,514	708,613
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	77,732	128,434
საგადასახადო აქტივი		21,401	7,992
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	19,787	12,944
		<u>809,434</u>	<u>857,983</u>
სულ აქტივები		<u>1,358,283</u>	<u>1,753,514</u>
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,043,955	1,048,735
დაგროვილი ზარალი		(387,428)	(172,426)
		<u>656,527</u>	<u>876,309</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	461,639	577,500
		<u>461,639</u>	<u>577,500</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	26,831	33,567
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	213,286	266,138
		<u>240,117</u>	<u>299,705</u>
სულ ვალდებულებები		<u>701,756</u>	<u>877,205</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>1,358,283</u>	<u>1,753,514</u>

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 25 ნოემბერს:

დირექტორი

ირაკლი კალმახელიძე

შპს სუფთა წყალი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	12	1,611,716	1,445,455
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(586,980)	(591,319)
საერთო მოგება		1,024,736	854,136
სხვა წმინდა ხარჯი		(38,365)	(54,392)
კომერციული ხარჯები	14	(655,346)	(669,933)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(571,837)	(529,401)
საოპერაციო ზარალი		(240,812)	(399,590)
წმინდა ფინანსური ხარჯი		(36,621)	(32,930)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		68,040	(97,877)
ზარალი დაბეგვრამდე		(209,393)	(530,397)
მოგების გადასახადის ხარჯი		(5,609)	(10,713)
მთლიანი სრული ხარჯი		(215,002)	(541,110)

შპს სუფთა წყალი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/(ზარალი)	სულ
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,099,775	368,684	1,468,459
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(51,040)	-	(51,040)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(541,110)	(541,110)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	1,048,735	(172,426)	876,309
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(4,780)	-	(4,780)
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(215,002)	(215,002)
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	1,043,955	(387,428)	656,527

შპს სუფთა წყალი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგრამდე	(209,393)	(530,397)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	262,336	307,722
წმინდა საპროცენტო ხარჯი	36,621	32,930
წმინდა ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	71,706	145,149
წმინდა (მოგება)/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(68,040)	97,877
	93,230	53,281
ცვლილებები საბრუნავი კაპიტალში:		
მარაგები	18,099	(85,657)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	40,942	129,964
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(52,043)	(79,703)
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	(13,409)	(44,452)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	86,819	(26,567)
გადახდილი პროცენტები	(36,621)	(32,930)
გადახდილი მოგების გადასახადი	(5,609)	(10,713)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	44,589	(70,210)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(190)	(168,144)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	26,977	45,337
არამატერიალური აქტივების შეძენა	(14,147)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	12,640	(122,807)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის დაფარვა	(45,556)	(29,299)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(4,780)	(51,040)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(50,336)	(80,339)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	6,893	(273,356)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12,944	277,322
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე	(50)	8,978
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19,787	12,944

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სუფთა წყალი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში - კომპანია), რომელიც დაარსდა 2006 წლის 15 მაისს. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში საიდენტიფიკაციო ნომრით - 205150655.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასმელი წყლის მოპოვება და რეალიზაცია. წყლის დაფასოება ხდება 19 ლიტრიან ბოცებში ნატახტარში მდებარე კომპანიის კუთვნილ ქარხანაში. წყლის დისტრიბუცია ხორციელდება საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში. მსხვილ კლიენტთა სიაში შედიან ბანკები, ავთიაქები, საჯარო დაწესებულებები, სასტუმროები და სხვა მრავალ ფილიალიანი კომპანიები. კომპანია ასევე ემსახურება ინდივიდუალურ კლიენტებსაც.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი მაგდა ქარსიძე.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის ფალიაშვილის ქუჩა #118.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალდებულო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50,895	87,436
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა)	18,855	4,612
	69,750	92,048

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა ძირითადად არ აღემატება 40 დღეს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	62,360	426,110	488,470
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	213,286	-	213,286
	275,646	426,110	701,756

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	62,360	548,707	611,067
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	266,138	-	266,138
	328,498	548,707	877,205

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50,895	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,712	75
სულ ფინანსური აქტივები	70,607	75
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	488,470
სავაჭრო ვალდებულებები	213,286	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	213,286	488,470
ღია საბალანსო პოზიცია	(142,679)	(488,395)

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	87,436	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	12,770	174
სულ ფინანსური აქტივები	100,206	174
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	611,067
სავაჭრო ვალდებულებები	266,138	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	266,138	611,067
ღია საბალანსო პოზიცია	(165,932)	(610,893)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილების პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე, 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	(ლარი / ევრო)	
საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მგრძნობელობა	2021	2020
20% ზრდა	(97,679)	(122,179)
20% შემცირება	97,679	122,179

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი უცვლელია.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბაზრო გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება არ ახდენს არსებით გავლენას კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, კომპანიამ შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ჭაბურღილი	სულ
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	42,122	344,792	2,025,325	259,768	48,644	2,720,651
შემოსვლები	-	-	134,410	33,734	-	168,144
გასვლები	-	-	(176,766)	(48,431)	-	(225,197)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	42,122	344,792	1,982,969	245,071	48,644	2,663,598
შემოსვლები	-	-	190	-	-	190
გასვლები	-	-	(88,588)	(29,965)	-	(118,553)
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	42,122	344,792	1,894,571	215,106	48,644	2,545,235
დაგროვილი ცვეთა						
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(77,844)	(1,370,417)	(113,842)	(23,906)	(1,586,009)
ცვეთა	-	(2,263)	(246,933)	(37,067)	(2,373)	(288,636)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	8,306	26,405	-	34,711
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(80,107)	(1,609,044)	(124,504)	(26,279)	(1,839,934)
ცვეთა	-	-	(217,122)	(31,900)	(2,373)	(251,395)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	19,870	-	19,870
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(80,107)	(1,826,166)	(136,534)	(28,652)	(2,071,459)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	42,122	264,685	373,925	120,567	22,365	823,664
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	42,122	264,685	68,405	78,572	19,992	473,776

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიწა და შენობები მიღებული სესხის სასარგებლოდ დატვირთულია იპოთეკით.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	წყლის მოპოვების ლიცენზია	ხარისხის სერთიფიკატი	სულ
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	114,494	31,433	158,991
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	114,494	31,433	158,991
შემოსვლები	14,147	-	14,147
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	128,641	31,433	173,138
დაგროვილი ცვეთა			
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	(35,058)	(19,916)	(68,038)
ცვეთა	(7,569)	(11,517)	(19,086)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	(42,627)	(31,433)	(87,124)
ცვეთა	(10,941)	-	(10,941)
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	(53,568)	(31,433)	(98,065)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	71,867	-	71,867
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	75,073	-	75,073

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ბოცები	482,971	424,308
ნედლეული და მასალები	70,728	144,229
ყავა	79,793	77,364
სხვა	57,022	62,712
	690,514	708,613

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	201,888	238,429
სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(150,993)	(150,993)
	50,895	87,436
არაფინანსური მოთხოვნები:		
მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები	11,626	25,123
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	31,782	32,446
ავანსების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(16,571)	(16,571)
	26,837	40,998
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	77,732	128,434

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	18,780	4,438
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	75	8,332
ნაღდი ფული სალაროში	932	174
	19,787	12,944

10. მიღებული სესხები

	ვალუტა	დაფარვის გრაფიკი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საქართველოს ბანკი	ევრო	24/12/2026	488,470	611,067
			488,470	611,067

წლიური საპროცენტო განაკვეთი ფორმირდება მომდევნო წესით: ექვს თვიან EURIBOR-ის განაკვეთს დამატებული საბაზისო განაკვეთი (6.3%).

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

მიღებულ სესხებში განხორციელებული ცვლილებები, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ბალანსი წლის დასაწყისში	611,067	515,546
ფულადი ნაკადები	(82,417)	(62,229)
წმინდა ფულადი ნაკადები:		
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	36,621	32,930
საკურსო სხვაობის ეფექტი	(76,801)	124,820
ბალანსი წლის ბოლოს	488,470	611,067

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	128,603	179,296
გადასახდელი ხელფასები	84,683	86,842
	213,286	266,138

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ამონაგები

	2021	2020
წყალი	1,162,785	1,129,121
პოლიეთილენის ჭიქები	302,508	183,921
ყავა	64,346	77,952
სხვა*	82,077	54,461
	1,611,716	1,445,455

*სხვა ამონაგების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ჩაისა და სხვა მარაგების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს.

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
წყალი	(322,139)	(372,347)
პოლიეთილენის ჭიქები	(192,483)	(132,094)
ყავა	(3,669)	(36,317)
სხვა*	(68,689)	(50,561)
	(586,980)	(591,319)

*სხვა ხარჯების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ჩაისა და სხვა მარაგების რეალიზაციის თვითღირებულებას.

14. კომერციული ხარჯები

	2021	2020
თანამშრომელთა ანაზღაურება	(232,454)	(220,027)
ცვთა	(239,166)	(286,751)
მიწოდების ხარჯი	(182,615)	(155,162)
რეკლამის ხარჯი	(1,111)	(7,993)
	(655,346)	(669,933)

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
თანამშრომელთა ანაზღაურება	(258,227)	(244,423)
ავტომობილების შეკეთების და ტექდათვალიერების ხარჯები	(127,524)	(81,531)
მოკლევადიანი იჯარა	(65,087)	(40,351)
ცვთა და ამორტიზაცია	(23,170)	(20,971)
საკანცელარიო და ოფისის სხვა ხარჯი	(13,061)	(20,914)
საწვავი	(12,524)	(10,885)
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	(11,911)	(17,400)
ბანკის საკომისიო	(9,558)	(4,226)
დაზღვევა	(8,903)	(8,671)
პროფესიული მომსახურება	(4,769)	(36,294)
საგადასახადო ხარჯი, მოგების გადასახადის გარდა	(2,314)	(12,069)
სხვა	(34,789)	(31,666)
	(571,837)	(529,401)

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

სამართლებრივი დავები - 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულა ანარიცხი.

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	2021		2020	
	ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან	მთლიანი თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში	ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან	მთლიანი თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება)	(47,449)	(571,837)	(49,510)	(529,401)

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

რუსეთ-უკრაინის ომი

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა.

აღნიშნულმა მოვლენამ და მსოფლიოს პასუხმა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებზე შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მრავალ კომპანიაზე, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. ამ მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ისეთ კომპანიებზეც, რომელთაც აქვთ არაპირდაპირი ინტერესი (ჰყავთ მომხმარებლები, მომწოდებლები და დამფუძნებლები) რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირების დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მრავალ ფინანსურ რესურსზე წვდომაზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე.

კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ აქვს არსებითი ოპერაციები რუსეთისა და ბელორუსიის ზაზარზე მოქმედ პირებთან ან მოქალაქეებთან (აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებულ პირებთან), რომელთაც შეეხოთ რუსეთ-უკრაინას შორის არსებული სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული ფინანსური თუ სხვა შეზღუდვები.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი წარადგინა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროსა და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს დააკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგება/ ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით. პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები ურთიერთჩაითვალოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით. ყველა სახის სხვა დანახარჯით, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული აქტივის რეალური ღირებულება.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ცვდება
შენობა-ნაგებობები	40-50
მანქანა-დანადგარები	8-40
წყლის დისპენსერები	10
ყავის აპარატები	3-20
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	2-10
ჭაბურღილი	25
სხვა	3-20

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს დაკავშირებული კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების ხარჯებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე, თუ არამატერიალური აქტივი გაუფასურებელია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება და ხდება უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
წყლის წარმოების ლიცენზია	25
ხარისხის სერტიფიკატი	3

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მოყვანის ყველაწარმოებული დანახარჯისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები აქტივებია, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. ისინი აღიარებულია ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ძირითადი შემოსავალი ფორმირდება წყლის, პოლიეთილენის ჭიქების, ყავისა და სხვა საქონლის რეალიზაციით. კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. კომპანიის მისაღები ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მოიცავს ცვალებად თანხას.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, კომპანიას შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასი და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

შპს სუფთა წყალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

19. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარები

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისას და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2776	4.0233

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.